ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3753363

ნომერი: AR1560783

თარიღი : 30.11.2017

გაცემის თარიღი : 26.12.2017

გაცნობის თარიღი : 27.12.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნოდარ ბოხუას ქუჩა N1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ბერიძე პ/ნ 01019021097
- ქ. თბილისი, ზესტაფონის ქ. #19კორპ.ა.ბინა43

ორგანიზაცია:

- სს პროკრედიტბაკნი კოდი: 204851197

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ:

სამსახურის მიერ 2016 წლის 27 ივლისის №2737606 გადაწყვეტილებით გაიცა წერილობითი თანხმობა დროებითი (საძირკვლის არ მქონე) შენობა-ნაგებობის განთავსებაზე, აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ფიქსირდება, რომ საპროექტო ობიექტი დროებითი სტატუსისაა. ამჟამად წარმოდგენილი დოკუმენტაციით კი ითხოვთ არსებული კაპიტალური შენობის რეკონსტრუქციას, რომელიც (მოთხოვნის ტექსტში დაფიქსირებული ინფორმაციის მიხედვით) წარმოადგენს №2737606 გადაწყვეტილებით შეთანხმებულ ობიექტს. აღნიშნულიდან კი დგინდება, რომ ობიექტის მშენებლობა ნაწარმოებია დარღვევით. შესაბამისად საკითხი საჭიროებს კორექტირების კუთხით განხილვას, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 66-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, ამ დადგენილების მოთხოვნათა დარღვევით I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობის განხორციელება განიხილება როგორც უნებართვო მშენებლობა, ამავე დადგენილების 66-ე მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, უნებართვო მშენებლობად არ ჩაითვლება I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობის/მონტაჟის განხორციელება ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის დარღვევით, თუ მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო წერილობით დაადასტურებს დარღვევით განხორციელებული მშენებლობის შესაძლებლობას.
თუმცა, სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად არ მიაჩნია აღნიშნულ ტერიტორიაზე კაპიტალური I კლასის დაბალი ინტენსივობის შენობის განთავსება, სწორად აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე №2737606 გადაწყვეტილებით შეთანხმებული ობიექტი იყო დროებითი სტატუსით და მისი რეკონსტრუქცია/კორექტირება კაპიტალური შენობის კუთხით სამსახურს შესაძლებლად არ მიაჩნია.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.